ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-22/01172761022-17

"03." 01. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №40-ში (საკ. კოდი №01.14.03.040.124) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (შერეული ფუნქციის შენობა (მუსიკალური სტუდია, საოფისე და კომერციული ფართები) – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2850024 12.10.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №40-ში (საკ. კოდი №01.14.03.040.124) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

-3.30 ნიშნულზე შეცვლილია შიდა კიბის და კიბის ღიობის ფორმა.
ფასადებზე ლესვის ნაცვლად შეფრქვეულია წებო-ცემენტის ხსნარი. წყლის მილებს მონაცვლებული აქვს ადგილი. შეცვლილია გრუნტის ნიშნული. +21.60 ნიშნულზე „გ-ე" მონაკვეთში გაუქმებულია კიბის საფეხურები. კიბის უჯრედის ზევით გაუქმებულია გადახურვის ფილა.
+0.00 ნიშნულზე „ე-ე" ღერძის გარეთ და „ა-გ" მონაკვეთში შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა, დამატებულია პანდუსი და კიბის საფეხურები. სამანქანო და შ.შ.მ. პირთა პანდუსის დახრა არ შეესაბამება საპორექტოს. „ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია გადახურვის ფორმა.
„ა-ე" მონაკვეთში მინაბლოკების ნაცვლად მოწყობილია მეტალო-პლასმასის ღიობები. დამატებულია საკომუნიკაციო მილი. +18.30 ნიშნულზე შეცვლილია კედლის ფორმა. კედელი ნაწილობრივ არ არის მოწყობილი.
„1-5" ფასადზე მინაბლოკების ნაცვლად მოწყობლია მეტალო-პლასმასის ფრამუგები. „1-2" მონაკვეთში ნაწილობრივ შეცლილია ფასადის ფერი.
„ე-ა" ფასადზე მინაბლოკების ნაცვლად მოწყობლია მეტალო-პლასმასის ფრამუგები. „გ-ა" მონაკვეთში ნაწილობრივ შეცლილია ფასადის ფერი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ჰუმან ჰაუზი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №40-ში (საკ. კოდი №01.14.03.040.124) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (შერეული ფუნქციის შენობა (მუსიკალური სტუდია, საოფისე და კომერციული ფართები) – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №22/01172761022-17 03.10.2017წ. განცხადება.
№წ-22/01172761022-17 09.10.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე